ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

მასწავლებელთა XI საუნივერსიტეტო კონფერენცია

„უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“

,,მოსწავლეთა გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი მართავს მასწავლებელთა XI საუნივერსიტეტო კონფერენციას, რომლის მიზანია, დარგში არსებული ცოდნისა და სიახლეების ურთიერთგაცვლის/გაზიარების ხელშეწყობა.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედ მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

კონფერენცია ჩატარდება **2022 წლის 10 დეკემბერს ონლაინ ფორმატში.** შეხვედრის ბმულს მიიღებთ 10 დეკემბრამდე ელ. ფოსტის საშუალებით.

კონფერენციაზე იმუშავებს შემდეგი საგნობრივი და ზოგადი სექციები:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. ქართული, როგორც მეორე ენა;
3. მათემატიკა;
4. უცხო ენა;
5. საზოგადოებრივი მეცნიერებები;
6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
7. ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
8. ესთეტიკური აღზრდა;
9. სპორტი;
10. ზოგადი (საკითხის შესახებ არსებული თეორიული მასალა, რეკომენდაციები).

სამუშაო ენა:
ქართული

კონფერენციის რეგლამენტი:
მოხსენება - 15 წუთი;
მსჯელობა - 10 წუთი;

მნიშვნელოვანი თარიღები:

თეზისების გაგზავნის ვადა: **2022 წლის 1 დეკემბრამდე**

კონფერენციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: pedconference@tsu.ge

კონფერენციაზე მომხსენებლად დაშვების შეტყობინება: **2022 წლის 6 დეკემბრამდე**

თეზისების გაფორმების წესი:

აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

- საერთო სასკოლო მიდგომა;
- საგნობრივ / საგანთშორის ჭრილში გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული პრაქტიკის აღწერა (საგაკვეთილი გეგმები, პროექტები, კომპლექსური დავალებები და სხვა).

ფონტი: Sylfaen
ზომა: 12
ინტერვალი: 1,5
მოცულობა: მაქსიმუმ 1 გვერდი (არაუმეტეს 500 სიტყვისა)

ასევე, აბსტრაქტში თავფურცლის სახით მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი და გვარი (პირადობის მიხედვით);
- ორგანიზაციის დასახელება, რომელშიც მუშაობთ და დაკავებული თანამდებობა;
- მოხსენების სათაური;
- ელექტრონული ფოსტა;
- მობილურის ნომერი.

საკონტაქტო პირები:

მარიკა ჩაფიძე - თსუ, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი. marika.chapidze@tsu.ge

მეგი ესებუა - თსუ, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტი. Megi.esebua@tsu.ge